წაკითხულის გააზრება და ანალიტიკური წერა

დღეს გამოცდა ჩატარდება წაკითხულის გააზრებასა და ანალიტიკურ წერაში.

1. **წაკითხულის გააზრების** ნაწილი შედგება სამი ტექსტისა და 21 ტესტური დავალებისაგან.
   ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 21.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.
თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.
არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

2. **ანალიტიკური წერის** ნაწილი შედგება ორი დავალებისაგან.
   ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 18.
   თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 9.
   ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

წაკითხულის გააზრება

II ვარიანტი

21 შეკითხვა

დრო – 1 სთ 15 წთ

ტექსტი №1

I რომაელი პოეტი, **ჰორაციუსი**, აღნიშნავდა, რომ პოლიტიკურად დაპყრობილმა საბერძნეთმა კულტურულად დაიმორჩილა გამარჯვებული რომი და რომ სწორედ საბერძნეთმა აზიარა რომი ხელოვნებას. რომაელები ერთბაშად შეეჯახნენ ბერძნულ კულტურას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში თანამიმდევრულად და ჰომოგენურად ვითარდებოდა. მათ ერთდროულად მოუწიათ მხატვრული ლიტერატურის იმ ჟანრული მრავალფეროვნების ათვისება, რომელიც ჰომეროსიდან მოყოლებული ელინისტური ეპოქის ჩათვლით უკვე საკმაოდ მყარად იყო ჩამოყალიბებული. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ რომაული ლიტერატურის წარმომადგენლებს საკმაოდ რთულ ვითარებაში უხდებოდათ საკუთარი გზების ძიება და გაკვალვა. რომაულმა მწერლობამ თავდაპირველად ელინური ლიტერატურული ტრადიციის ათვისებისა და რომაულ ნიადაგზე ადაპტაციის გზა აირჩია. თუმცა არსებობდა ერთი ლიტერატურული ჟანრი, რომელიც რომაელებს ბერძნებისაგან არ გადმოუღიათ. ეს არის სატირა, რომელიც თავდაპირველად „სატურას“ სახელით იყო ცნობილი. ამ ჟანრის სახელწოდებას ლათინური ეტიმოლოგია აქვს და აღნიშნავს სხვადასხვა, მრავალფეროვანი კომპონენტისაგან დამზადებულ კერძს; „სატურას“ აქვს ასევე გადატანითი მნიშვნელობა და ნიშნავს „რაგინდარას“, „სხვადასხვაგვარს“.

II ნიშანდობლივია, რომ ძველი ბერძნები სატირს უწოდებდნენ სასაცილო მითიურ პერსონაჟს – მამაკაცს, რომელსაც ფეხები თხისა ჰქონდა და თავზე რქები ჰქონდა გამობმული. სატირის, როგორც ლიტერატურული ჟანრის, ფუნქციას საბერძნეთში იამბები – სპეციფიკური სალექსო საზომით დაწერილი ლექსები – ასრულებდა. დამცინავი იამბების ავტორთა შორის სახელი ჰქონდათ განთქმული ძვ. წ. VII საუკუნის ბერძენ მწერლებს, **სიმონიდესა** და **არქილოქეს**. სიმონიდეს იამბთა ისარი უმთავრესად ქალების უარყოფითი მხარეების წინააღმდეგ იყო მიმართული. არქილოქეს ნიჭით ჰომეროსის დარად მიიჩნევდნენ. გადმოცემის მიხედვით, მისი მკვეთრი იამბებით შეურაცხყოფილ ორ პოლიტიკოსს თავის მოკვლა გადაუწყვეტია.

ტექსტის გაგრძელება ->

III სატურის ჟანრმა რომაული მწერლობის ფარგლებში განვლო განვითარების ყველა ეტაპი. მისი, როგორც ლიტერატურული ჟანრის, ჩართვა სამწერლობო პროცესში, როგორც ჩანს, რომაელი პოეტისაგან – **ენიუსისგან** (ძვ. წ. III-II სს.) – იწყება. **პომპონიუსი** (ძვ. წ. II-I სს.) აღნიშნავს: „ენიუსმა სატურების ოთხი წიგნი დატოვა“. გრამატიკოსი **დიომედესი** (ახ. წ. IV ს.) შემდეგ ცნობას გვაწვდის: „ძველ დროში სატურას უწოდებდნენ ნაწარმოებს, რომელიც სხვადასხვა, ცალკეულ თემაზე დაწერილი ლექსისაგან შედგებოდა. ამგვარი შექმნეს **პაკუვიუსმა** და **ენიუსმა**“.

IV ამგვარად, თავდაპირველად სატურები ნებისმიერ საკითხს მოიცავდა, მაგალითად: დიდაქტიკურ, სასიყვარულო თუ ავტობიოგრაფიულ თემებს, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ისეთი ჟანრების განვითარება, როგორებიცაა: დიდაქტიკური პოეზია, სასიყვარულო თუ ავტობიოგრაფიული ლირიკული პოეზია. ნელ-ნელა სატურის თემატიკა შეიზღუდა და ის იქცა კრიტიკულ-ინვექტიური ხასიათის ჟანრად, რომელსაც დაუმკვიდრდა სახელწოდება „სატირა“. **დიომედესი**, რომელმაც ერთ-ერთმა პირველთაგანმა გამოიყენა ეს ტერმინი, შემდეგნაირად აყალიბებს ამ ჟანრის განსაზღვრებას: „სატირად რომაელებში იწოდება ძველი ბერძნული კომედიის ხასიათის ლექსის ფორმის მქონე გამკილავი ნაწარმოები, რომლის საშუალებითაც პოეტი თავს ესხმის მანკიერებებს“. თუ მივადევნებთ თვალს სატირული ჟანრის განვითარებას რომაული მწერლობის ფარგლებში, ამგვარი სურათი წარმოგვიდგება: სატირების შემქმნელი ცალკეული ავტორი გამორჩეული ინდივიდუალურობით იყენებს ამ ჟანრს, მაგალითად: **ლუცილიუსის** (ძვ. წ. II ს.) სამიზნეა მისი თანამედროვე ცნობილი ადამიანები, **ჰორაციუსისა** (ძვ. წ. I ს.) – მხოლოდ ნაკლებად მნიშვნელოვანი, მისი თანამედროვე უბრალო ადამიანები, **პერსიუსი** (ახ. წ. I ს.) თავის პოეტურ ნაწარმოებს მოკლე სცენების ფორმით აგებს და ზოგად ფილოსოფიურ თუ ლიტერატურათმცოდნეობით თემებს მოიცავს, ხოლო **იუვენალისი** (ახ. წ. I-II სს.) სატირას გარდაცვლილებისაკენ მიმართავს.

V გვიან საუკუნეებში სატირამ ნელ-ნელა დაკარგა ჟანრულობა და ლიტერატურულ ხერხად იქცა, რომელმაც, თავის მხრივ, განსაზღვრა ისეთი ჟანრების სპეციფიკა, როგორებიცაა: იგავ-არაკი, ეპიგრამა, პამფლეტი, ფელეტონი და მისთ. სატირის პრინციპზე აგებული რომანი გადაიქცევა სატირულ რომანად, ხოლო დრამა – კომედიად.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

1. **რა არის ავტორის მთავარი მიზანი?**

(ა) დაადგინოს ტერმინის „სატირა“ ეტიმოლოგია.

(ბ) წარმოაჩინოს სატირასა და სატურას შესახებ რომაელ გრამატიკოსთა შეხედულებები.

(გ) მიმოიხილოს რომაელ ავტორთა სატირული პოეზიის თემატიკა.

(დ) გამოკვეთოს სატირის, როგორც რომაული ლიტერატურული ჟანრის, კავშირი ძველ ბერძნულ სატირასთან.

(ე) დაადგინოს სატირის, როგორც ლიტერატურული ჟანრის, რაობა და წარმომავლობა.

2. სატირის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მართებული?

(ა) ლათინური ტერმინი „სატირა“ მომდინარეობს ბერძნული მითიური პერსონაჟის – სატირის – სახელიდან.

(ბ) სატირა, როგორც ლიტერატურული ჟანრი, მომდინარეობს ძველი ბერძნული იამბური პოეზიიდან.

(გ) ლათინური ტერმინი „სატირა“ მომდინარეობს ასევე ლათინური სიტყვიდან „სატურა“, რაც მრავალკომპონენტიან კერძს ნიშნავს.

(დ) ტერმინი „სატირა“ რომაულ ლიტერატურაში ძვ. წ. III-II საუკუნეებში დამკვიდრდა.

(ე) სატირა მომდინარეობს ძველი ბერძნული ლიტერატურის ისეთი ჟანრიდან, როგორიცაა ანტიკური კომედია.

3. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

(ა) ენიუსის წიგნები სხვადასხვა თემაზე დაწერილი ლექსებისაგან შედგებოდა.

(ბ) ენიუსი და პაკუვიუსი სატირის ჟანრის სათავეებთან დგანან თავიანთი კრიტიკულ-ინვექტიური ხასიათის ლექსებით.

(გ) ენიუსის „სატურები“ გამოირჩეოდა მძაფრი კრიტიკით თანამედროვეთა მიმართ.

(დ) ენიუსი თავისი სატირული ლექსებით პაკუვიუსის მიმდევარი იყო.

(ე) დროთა განმავლობაში სატურის თემატიკა გაფართოვდა და ის ცალკე ლიტერატურულ ჟანრად იქცა.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

4. ტექსტის მიხედვით, ყველაზე მეტად ვინ შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი სტროფის ავტორად?

„სამგზის ბედკრულია ის ღარიბი, ვინც ცოლს მოიყვანს,

თან შვილებსაც გაარჩენს, უგუნურია ის...“

(ა) ლუცილიუსი

(ბ) ჰორაციუსი

(გ) იუვენალისი

(დ) პომპონიუსი

(ე) დიომედესი

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

5. ტექსტის რომელ აბზაცებს შეავსებდა შემდეგი წინადადება?

რომაელი ავტორი, კვინტილიანუსი (ახ. წ. I ს.), სიამაყით აცხადებდა: „სატურა მთლიანად ჩვენია“.

(ა) მხოლოდ I-სა და II-ს.

(ბ) მხოლოდ I-სა და III-ს.

(გ) მხოლოდ II-სა და III-ს.

(დ) მხოლოდ II-სა და IV-ს.

(ე) მხოლოდ IV-სა და V-ს.

6. ჩამოთვლილთაგან რომელი <u>არ არის მართებული</u> ტექსტის მიხედვით?

(ა) პამფლეტში სატირა ლიტერატურული ხერხის ფუნქციას ასრულებს.

(ბ) გვიან საუკუნეებში სატირამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა.

(გ) რომაელ პოეტთა შემოქმედებაში სატირამ სხვადასხვა თემაში იჩინა თავი.

(დ) სატირამ ყველაზე ეფექტიანად პოლიტიკოსთა წინააღმდეგ მიმართულ ლათინურენოვან ლექსებში იჩინა თავი.

(ე) რომაელი ავტორებისათვის მხატვრულ ლიტერატურაში საკუთარი გზის გაკვალვა სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

7. **ტექსტის ბოლო აბზაცში:**

(ა) გავრცობილია წინა აბზაცში წამოჭრილი საკითხი.

(ბ) მოყვანილია არგუმენტი წინა აბზაცში გამოთქმული მოსაზრების გასამყარებლად.

(გ) გაანალიზებული და განზოგადებულია ტექსტში მოყვანილი მაგალითები.

(დ) გაკრიტიკებულია წინა აბზაცში წარმოდგენილი მსჯელობა.

(ე) წარმოდგენილია ტექსტში განხილული მთავარი საკითხის ახალი ასპექტი.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

ტექსტი №2

დასწავლა ადრეული ბავშვობიდან იწყება და მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება. მცირე ასაკის ბავშვები უკვე ითვისებენ ახალ ქცევებს, სწავლობენ, რა არის მისაღები ან მიუღებელი, მეტიც, სწავლობენ იმასაც, რომ ერთი და იგივე ქცევა გარკვეულ გარემოში მისაღებია, ხოლო სხვა გარემოში მიუღებელი და ა. შ.

ცნობილი ფსიქოლოგის, ალბერტ ბანდურას **დასწავლის თეორიის** მიხედვით, დასწავლის დიდი წილი დაკვირვებისა და იმიტაციის შედეგია. სხვებზე დაკვირვების საფუძველზე გარკვეული ქცევის ათვისების პროცესს **მოდელირება** ეწოდება. ბავშვი, და არამარტო ბავშვი, აკვირდება სხვებს, ე. წ. მოდელებს და მათი ქცევის გამეორებას, იმიტირებას ცდილობს.

მოდელის ცნებას ფართო მნიშვნელობა აქვს, ის მოიცავს როგორც რეალურ ადამიანებს, ისე ე. წ. სიმბოლურ მოდელებს: ლიტერატურულ პერსონაჟებსა თუ კინოგმირებს, ასევე, წერილობით ან ზეპირად გადმოცემულ ინსტრუქციებს, სხვადასხვა სახის ილუსტრაციებს, კომპიუტერულ სიმულაციებსა და ა. შ.; შესაბამისად, მოდელი შეიძლება ეწოდოს ყველაფერს, რისი გაცნობისა და რაზე დაკვირვების შემდეგაც შესაძლებელია, ქცევა შეიცვალოს ან ახალი ქცევა ჩამოყალიბდეს.

ბანდურა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ დასწავლის პროცესში დაკვირვების გარდა მონაწილეობს სხვა ფსიქიკური პროცესებიც: ყურადღება, დამახსოვრება, რეპროდუქცია (იმიტაცია, გამეორება) და მოტივაცია.

თავისთავად პროცესის თუ მოვლენის მრავალჯერადი ნახვა არ არის დასწავლის გარანტია. ძალიან ცოტა რამეს თუ ვისწავლით ისეთ ქცევაზე დაკვირვებით, რომელსაც უმნიშვნელოდ მივიჩნევთ. რამდენ **ყურადღებას** დავუთმობთ მოდელს, დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ღირებულებას ვანიჭებთ მის ქცევას. ჩვენ ხშირად განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ სოციალური გავლენის მქონე პირებს და სწორებას ვიღებთ მათზე, ვცდილობთ, მივბაძოთ მათ განსაკუთრებულ უნარებს, თვისებებს, ჩაცმულობას, გარეგნობასაც კი. ცნობილ სახეებს (მაგ., სპორტსმენებს, მსახიობებს, მომღერლებს) დიდი ზეგავლენა აქვთ საზოგადოებაზე. თუმცა, ჩვენს ყურადღებას არა მხოლოდ პოპულარული ადამიანები იპყრობენ, არამედ ე. წ. ხელმისაწვდომი მოდელები, ჩვენ გარშემო მყოფი ადამიანები, ვისაც ხშირად ვხედავთ.

ტექსტის გაგრძელება ->

ყურადღებით დაკვირვება ასევე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მკაფიოდ სრულდება ქმედება, რამდენად რთულია ან კომპლექსურია ის და რამდენად მნიშვნელოვანია, სასარგებლოა ის ჩვენთვის. ქცევას, რომელიც ძალიან რთულია ან ძალიან იშვიათია, ყურადღებას ნაკლებად ვუთმობთ. გარდა ამისა, დასწავლისათვის მნიშვნელოვანია, რომ ქცევა, რომელსაც ვაკვირდებით, ხელმისაწვდომად მიგვაჩნდეს, რადგან ზოგიერთი ქცევის შესრულება ჩვენს ფიზიკურ ან ინტელექტუალურ შესაძლებლობებს აღემატება.

ყურადღების მიქცევის გარდა, დასწავლის პროცესში მნიშვნელოვანი ეტაპია სამოდელო ქცევის შენარჩუნება, **დამახსოვრება**. სამოდელო ქცევის მიწოდება, რეპრეზენტაცია ძირითადად ორი განსხვავებული გზით – ვერბალურად ან ვიზუალურად – მიმდინარეობს. ზოგიერთი ქცევის სწავლა იოლია, თუკი ბავშვი მოდელს ვიზუალურად დააკვირდება და შეეცდება მის იმიტირებას. ზოგიერთი ქცევის – განსაკუთრებით, რთულისა და კომპლექსურის – ათვისება კი უმჯობესდება, თუ ის, რასაც ბავშვი ხედავს, ვერბალურადაც აღიწერება.

იმიტაცია გულისხმობს მისაბაძი ქცევის რეალურად შესრულებას, მის **მოტორულ რეპროდუქციას**. მისაბაძი ქცევის პირველი შესრულება იშვიათად არის უნაკლო. ქცევის წარმატებული ათვისებისათვის არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ბავშვმა თავად შეაფასოს (ან მიიღოს სხვისი შეფასება) და, საჭიროების შემთხვევაში, შეცვალოს საკუთარი ქცევა. ამდენად, იმიტაციის გზით ქცევის დასწავლისას ბავშვი საკუთარ ქცევასაც იმეორებს, რომელიც სამოდელო ქცევაზე დაკვირვებას ეფუძნება. იმისთვის, რომ კარგად ვატაროთ მანქანა ან კარგად ვითამაშოთ ჩოგბურთი, ცდისა და შეცდომის მეთოდით სწავლა არ არის საკმარისი, ჩვენ გვჭირდება სამოდელო ქცევაზე დაკვირვება, სათანადო წერილობითი თუ ზეპირი ინსტრუქციების გათავისება და ამ ქცევის მრავალჯერადი გამეორება.

ქცევის ათვისება შეუძლებელია გარკვეული **მოტივაციის** არსებობის გარეშე. დასწავლის პროცესში დიდ როლს ასრულებს ის, თუ რამდენად ღირებულია ჩვენთვის ესა თუ ის ქცევა. თუკი ინდივიდს არ აინტერესებს გარკვეული ქცევა, მაგალითად, ბავშვს არ აინტერესებს კრივი, მასწავლებელს გაუჭირდება მისთვის კრივის ილეთების სწავლება.

ბანდურას თეორიის მიხედვით, დაკვირვებით სწავლებას სულ ცოტა ორი განმამტკიცებელი ფაქტორი სდევს თან. **განმტკიცება** არის გარკვეულ ქცევაზე მიღებული უკუკავშირი, რომელიც ამ ქცევის გამეორების ალბათობას ზრდის. მოდელზე დაკვირვებით ნასწავლი ქცევა შეიძლება პირდაპირ, უშუალოდ განმტკიცდეს, მაგალითად, როდესაც ჩოგბურთის მწვრთნელი თავის მოსწავლეს კარგად ჩაწოდებული ბურთის შემდეგ შეაქებს. განმტკიცება შეიძლება არაპირდაპირი იყოს, მაგალითად, როდესაც ქცევა, რომლის ათვისებასაც ვცდილობთ, სოციალური ნორმების მიხედვით მისაღებია და მისი შესრულება საკუთარი თავით კმაყოფილების განცდას აღძრავს; ამას თვითგანმტკიცება ეწოდება.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

8. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

(ა) წარმოაჩინოს ბანდურას დასწავლის თეორიის მნიშვნელობა დასწავლის ცნების გააზრებაში.

(ბ) გააანალიზოს ყურადღების როლი და მნიშვნელობა მოდელზე დაკვირვებით დასწავლის პროცესში.

(გ) მიმოიხილოს მოდელირების გზით ქცევის დასწავლის პროცესი ბანდურას თეორიის მიხედვით.

(დ) გამოკვეთოს ბანდურას თეორიის უპირატესობა დასწავლის სხვა თეორიებთან შედარებით.

(ე) მიმოიხილოს ქცევის განმამტკიცებელი ფაქტორები ბანდურას დასწავლის თეორიაში.

9. წარმოდგენილ განმარტებათაგან რომელია მართებული ტექსტის მიხედვით?

(ა) მოდელირება ეწოდება სხვებთან ურთიერთობისას საკუთარი ქცევის მართვის პროცესს.

(ბ) თვითგანმტკიცება ეწოდება საკუთარი ქცევის მრავალჯერად გამეორებას მისი უკეთ დასწავლის მიზნით.

(გ) იმიტაცია გულისხმობს მოდელზე დაკვირვების საფუძველზე მისაბაძი ქცევის რეალურად შესრულებას.

(დ) მოდელი ყოველთვის გარკვეული სფეროს საუკეთესო წარმომადგენელია, რომელსაც ბევრი ადამიანი ბაძავს.

(ე) მოტორული რეპროდუქცია ნიშნავს ფიზიკურ დონეზე ქცევის უნაკლო შესრულებას.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

10. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

ბანდურას თეორიის მიხედვით,

(ა) ბავშვს უჭირს იმის გააზრება, რომ ერთი და იგივე ქცევა გარკვეულ გარემოში მისაღებია, ხოლო სხვა გარემოში მიუღებელი.

(ბ) ახალი ქცევის დასწავლისათვის აუცილებელია მისი უშუალო, პირდაპირი გზით განმტკიცება.

(გ) დასწავლის ერთადერთი გზა სხვებზე დაკვირვება და სხვების ქცევის იმიტაციაა.

(დ) ქცევის სწავლება ეფექტურია მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშვი ქცევის შესრულებასთან დაკავშირებით ვერბალურ ინსტრუქციებს იღებს.

(ე) მოდელზე დაკვირვებით დასწავლის პროცესი რამდენიმე ეტაპს მოიცავს.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

11. მოდელისა და სამოდელო ქცევის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელი დასტურდება ტექსტში?

(ა) კომპლექსური ქცევების დასწავლისათვის, სამოდელო ქცევაზე დაკვირვების ნაცვლად, საჭიროა სათანადო წერილობითი თუ ზეპირი ინსტრუქციების გათავისება.

(ბ) სიმბოლური მოდელი უფრო იშვიათად შეიძლება გახდეს დაკვირვებისა და მიბაძვის ობიექტი, ვიდრე რეალური პირი, რომელიც მოდელის როლში გვევლინება.

(გ) ადამიანისათვის ხელმისაწვდომი მოდელის როლის შესრულება მხოლოდ მისი სოციალური წრის წარმომადგენლებს შეუძლიათ.

(დ) სამოდელო ქცევა მოდელის მიერ განხორციელებული ქცევაა, რომლის იმიტაციასა და მიბაძვას ცდილობს ადამიანი.

(ე) ხელმისაწვდომ მოდელებად შეიძლება მივიჩნიოთ პოპულარული ადამიანები, ასევე ლიტერატურული თუ კინოპერსონაჟები, რომლებიც ხშირად იქცევენ სხვების ყურადღებას.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

12. რა თანამიმდევრობით არის განხილული ტექსტში შემდეგი საკითხები?

A. ფსიქიკური პროცესები, რომლებიც დაკვირვებით დასწავლაზე ახდენენ გავლენას.
B. მოდელი, როგორც დაკვირვების ობიექტი.
C. დასწავლა, როგორც სხვების ქცევაზე დაკვირვებისა და იმიტაციის შედეგი.
D. დაკვირვებით დასწავლილი ქცევის განმტკიცების გზები.
E. მოტივაციის როლი და მნიშვნელობა დასწავლის პროცესში.

(ა) C, B, A, E, D.

(ბ) A, B, C, E, D.

(გ) E, B, C, A, D.

(დ) B, C, A, D, E.

(ე) B, A, E, D, C.

13. ჩამოთვლილთაგან რომელი <u>არ გამომდინარეობს</u> ტექსტიდან?

(ა) ქცევის ათვისება უმჯობესდება, როდესაც ვიზუალური დაკვირვება ვერბალური აღწერითაა გამყარებული.

(ბ) სამოდელო ქცევაზე ყურადღებით დაკვირვება ახალი ქცევის დასწავლის გარანტიაა.

(გ) ცნობილ ადამიანებს საზოგადოებაში ქცევითი რეპერტუარის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ.

(დ) ქცევის დასწავლისათვის მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა გაითვალისწინოს უკუკავშირი იმიტირებულ ქცევასთან დაკავშირებით.

(ე) მოვლენას, რომელიც გარკვეული ქცევის გამეორების ალბათობას ზრდის განმამტკიცებელი ფაქტორი ეწოდება.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

14. ტექსტის ბოლო აბზაცში:

(ა) წარმოდგენილია ტექსტში განხილული მთავარი საკითხის ახალი ასპექტი.

(ბ) გავრცობილია წინა აბზაცში მოყვანილი მსჯელობა.

(გ) მოყვანილია მაგალითი ტექსტში დასმული ძირითადი საკითხის გასამყარებლად.

(დ) წარმოდგენილია დასკვნა, რომელიც ემყარება ტექსტში განხილულ მაგალითებს.

(ე) კრიტიკულად არის შეფასებული ტექსტში განხილული ძირითადი საკითხი.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

ტექსტი №3

სახელმწიფო წარმოადგენს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმას, რომელიც საჯარო ხელისუფლების მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას განსაზღვრულ ტერიტორიაზე. ის უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგს და ადგენს კანონებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა მოქალაქეებისათვის, ამასთანავე, გამოხატავს საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის ინტერესებს და იცავს მას გარეშე მტრისაგან.

სიტყვები „სახელმწიფო“ და „ქვეყანა“ მნიშვნელობით ახლომდგომი ცნებებია, მაგრამ არაიდენტური; ზოგჯერ ტერმინი „ქვეყანა“ გამოიყენება სახელმწიფოს სინონიმად, მაგრამ ამ შემთხვევაში ის გულისხმობს გარკვეულ ტერიტორიას პოლიტიკური მნიშვნელობით. ქვეყანა თავისთავად არის ისტორიული, გეოგრაფიული ცნება, სახელმწიფო კი – პოლიტიკური და სამართლებრივი; ქვეყანა გულისხმობს ტერიტორიას გარკვეული ეროვნული, სოციო-კულტურული ან ისტორიული საზღვრებით, სახელმწიფო კი – ძალაუფლების, მმართველობის სისტემას ამ ტერიტორიაზე. ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს საერთაშორისო დონეზე აღიარებული სახელმწიფო სუვერენიტეტი (დამოუკიდებლობა), ან იმყოფებოდეს სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ. სახელმწიფოს, ისევე როგორც ქვეყანას, აქვს დედაქალაქი, მმართველი ორგანოები და სახელმწიფო სიმბოლოები: გერბი, დროშა და ჰიმნი.

დღევანდელი მდგომარეობით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანებულია 193 სუვერენული სახელმწიფო, ხოლო ორ ქვეყანას – პალესტინასა და ვატიკანს – აქვს დამკვირვებლის სტატუსი. მსოფლიოს დაახლოებით 60 ქვეყანას კი აქვს დამოკიდებული ქვეყნის სტატუსი ან მისი სტატუსი სადავოა.

უძველესი დროიდან მოაზროვნენი მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფოს მთავარ ამოცანას წარმოადგენს თავისი მოქალაქეების დაცვა გარე მტრისაგან და წესრიგის შენარჩუნება. თუმცა სახელმწიფოს მართვის ფორმა და ფუნქცია სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში განსხვავდებოდა იმის შესაბამისად, თუ რა ხედვას ეფუძნებოდა მართვის სისტემა. სახელმწიფოს რაობისა და წარმოშობის შესახებ ჩამოყალიბდა არაერთი ფილოსოფიური კონცეფცია.

თეოლოგიური თეორია, რომელიც ძვ. წ. VIII საუკუნიდან იღებს დასაბამს, სახელმწიფოს წარმოშობას უკავშირებს ღვთაებრივ ნებას. ამ კონცეფციის მიხედვით, მეფობა ღვთით კურთხეულია, სამეფო დინასტიას ლეგიტიმაცია ღმერთისაგან აქვს მინიჭებული; სახელმწიფოში გამოცემული კანონები ღვთაებრივ სამართლიანობას შეესაბამება და ამიტომ ხალხი ვალდებულია, მორჩილად აღასრულოს ისინი.

ტექსტის გაგრძელება ->

პატრიარქალური თეორიის ფუძემდებლის, ბერძენი ფილოსოფოსის, არისტოტელეს (ძვ. წ. IV ს.) მიხედვით, ადამიანი, როგორც სოციალური არსება, ისწრაფის სხვა ადამიანებთან ურთიერთობისა და ოჯახის შექმნისაკენ; ოჯახების განვითარების, გამრავლებისა და გაერთიანების შედეგად კი წარმოიშობა სახელმწიფო. ამ კონცეფციის ფარგლებში სახელმწიფო ხელისუფლება სიმბოლურად ასახავს გვაროვნულ საზოგადოებაში არსებული მამის (პატრიარქის) ხელისუფლების იდეას.

ინგლისელი ფილოსოფოსების, ჰობსისა და ლოკის (XVII ს.) **სოციალური კონტრაქტის თეორიის** თანახმად, სახელმწიფოს წარმოშობას საფუძვლად უდევს ე. წ. საზოგადოებრივი ხელშეკრულება. როდესაც არ არსებობდა სახელმწიფო, საზოგადოება იმყოფებოდა „ბუნებრივ მდგომარეობაში“ – ადამიანებს ჰქონდათ განუსაზღვრელი პირადი თავისუფლება, ყველა მხოლოდ საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობდა, რაც იწვევდა „ყველას ომს ყველას წინააღმდეგ“. ასეთ არაორგანიზებულ საზოგადოებას შესაძლოა, თავისი თავი გაენადგურებინა. ამიტომ ადამიანებმა „გააფორმეს“ ერთმანეთთან „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“, რომლის ძალითაც უარი თქვეს საკუთარი ინტერესების ნაწილზე; ხალხი იცავდა კანონებს, იხდიდა გადასახადებს, ასრულებდა სამხედრო და სხვა ვალდებულებებს, ხოლო სახელმწიფო ქმნიდა ცხოვრებისათვის აუცილებელ პირობებს, იცავდა ხალხს გარეშე საფრთხისაგან, სჯიდა დამნაშავეებს და ა. შ.

ძალადობის თეორია მეცნიერულ დონეზე გერმანელმა ფილოსოფოსებმა, დიურინგმა და კაუცკიმ (XIX–XX სს.) დაამუშავეს, თუმცა მისი საფუძვლები პირველად ჩამოაყალიბა ჩინელმა სახელმწიფო მოხელემ, შან იანიმ (ძვ. წ. IV ს.). ამ კონცეფციის მიხედვით, სახელმწიფოს წარმოშობის მთავარ მიზეზს დაპყრობითი ომები, ძალადობა და ერთი ტომის მიერ სხვების დამორჩილება წარმოადგენს, რადგან საჭიროა დაპყრობილი ხალხებისა და ტერიტორიების მართვა. თეორია გულისხმობდა არა მარტო გარედან მოსულ ძალადობას, არამედ საზოგადოების შიგნით ერთი ჯგუფის მიერ ძალადობრივი გზით სხვა ჯგუფების დამორჩილებასაც.

გერმანელი მოაზროვნეების, მარქსისა და ენგელსის (XIX ს.) **ეკონომიკური თეორიის** მიხედვით, სახელმწიფო ჩამოყალიბდა პირველყოფილი საზოგადოების ეკონომიკური განვითარების შედეგად, რომელმაც „მოითხოვა“ მართვის დახვეწა. სახელმწიფოს წარმოშობა მოხდა ეტაპობრივად: თავდაპირველად გაჩნდა შრომის დანაწილების პრინციპი, საზოგადოების ერთმა ნაწილმა ხელი მიჰყო მიწათმოქმედებას, მეორემ – მესაქონლეობასა თუ ხელოსნობას და სხვ. შედეგად, საზოგადოებაში დაგროვდა ჭარბი პროდუქტი, რამაც ხელი შეუწყო ვაჭრობის განვითარებას. დროთა განმავლობაში ადამიანებმა დაიწყეს სხვების შრომის გამოყენება და მეტი სიმდიდრის დაგროვება, რის შედეგადაც საზოგადოება დაიყო კლასებად – ექსპლუატატორებად და ექსპლუატირებულებად. შემდგომ ეტაპზე ექსპლუატატორთა (მდიდართა) ბატონობის შესანარჩუნებლად ჩამოყალიბდა ძალადობის სპეციალური მექანიზმი სახელმწიფოს სახით, მისი შესაბამისი ინსტიტუტებით, როგორებიცაა: პოლიცია, ჯარი, ციხე და სხვ.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

15. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

(ა) განიხილოს სხვადასხვა ეპოქის სახელმწიფო მმართველობის ფორმები.

(ბ) ერთმანეთს შეადაროს სახელმწიფოსა და ქვეყნის ცნებები.

(გ) მიმოიხილოს სახელმწიფოს წარმოქმნის შესახებ არსებული თეორიები.

(დ) წარმოაჩინოს ქვეყნების სხვადასხვა სტატუსი.

(ე) წარმოაჩინოს სახელმწიფოს ძირითადი ფუნქცია.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

16. ტექსტის მიხედვით, ქვეყნის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მართებული?

(ა) ქვეყანა წარმოადგენს ისტორიულ-გეოგრაფიულ-კულტურულ ტერიტორიას საერთაშორისო დონეზე აღიარებული საზღვრებით.

(ბ) ქვეყნის ძირითადი ფუნქციაა, ოფიციალურად წარადგინოს თავისი ხალხის ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე.

(გ) მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობის სტატუსი ან დამოკიდებულია, ან სადავო.

(დ) დამოკიდებული ქვეყნების ისტორიული და გეოგრაფიული საზღვრები არ არის დადგენილი.

(ე) ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს დამოკიდებული, სადავო, ან საერთაშორისოდ აღიარებული სუვერენული სახელმწიფოს სტატუსი.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

17. ჩამოთვლილთაგან რომელია ყველა სახელმწიფოს აუცილებელი მახასიათებელი ან ფუნქცია?

I. სახელმწიფო იმართება საჯარო ხელისუფლების მიერ.

II. სახელმწიფო წარმოადგენს გაბატონებული კლასის ნების გამტარებელ იარაღს.

III. სახელმწიფო იცავს მოქალაქეებს გარე მტრისაგან და უზრუნველყოფს სამართლებრივ წესრიგს საზოგადოებაში.

IV. სახელმწიფოს საზღვრები აღიარებულია ისტორიული და კულტურული ტერიტორიის ფარგლებში.

(ა) მხოლოდ I და II.

(ბ) მხოლოდ I და III.

(გ) მხოლოდ II და III.

(დ) მხოლოდ II და IV.

(ე) მხოლოდ III და IV.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

18. ტექსტში წარმოდგენილ თეორიათა შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან რომელია <u>მცდარი</u>?

(ა) ეკონომიკური თეორიის მიხედვით, სახელმწიფოს წარმოქმნა არის პირველყოფილი საზოგადოების ეკონომიკური განვითარების შედეგი.

(ბ) სოციალური კონტრაქტის თეორიის მიხედვით, სახელმწიფო წარმოადგენს ინტერესთა შეთანხმების, თანაცხოვრების, ურთიერთდაცვის ინსტიტუტების ერთობლიობას.

(გ) თეოლოგიური თეორია სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ყველაზე ადრეულ კონცეფციას წარმოადგენს.

(დ) ძალადობის თეორიის ფუძემდებლებად მიიჩნევენ გერმანელ ფილოსოფოსებს, დიურინგსა და კაუცკის.

(ე) პატრიარქალური თეორიის მიხედვით, სახელმწიფოს წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ადამიანის სწრაფვა სოციალური ურთიერთობებისაკენ.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

19. ძალადობის თეორიის გარდა, სხვა რომელ თეორიაშია მოხსენიებული ძალადობრივი მართვა სახელმწიფოს მახასიათებლად?

(ა) თეოლოგიურ თეორიაში.

(ბ) პატრიარქალურ თეორიაში.

(გ) სოციალური კონტრაქტის თეორიაში.

(დ) ეკონომიკურ თეორიაში.

(ე) არცერთში.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

20. ტექსტის მიხედვით, რომელია <u>მცდარი</u>?

(ა) გერბი, დროშა და ჰიმნი წარმოადგენს სიმბოლიკას, რომელიც მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოს აქვს.

(ბ) სუვერენულობა გულისხმობს ქვეყნის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

(გ) არისტოტელეს კონცეფცია გულისხმობს ქვეყნის მართვას პატრიარქალური, გვაროვნული საზოგადოების პრინციპებით.

(დ) საზოგადოების „ბუნებრივ მდგომარეობაში“ ყოფნა გულისხმობს ინდივიდების თავისუფლებას პასუხისმგებლობების გარეშე.

(ე) საზოგადოების დაყოფა ექსპლუატატორთა და ექსპლუატირებულთა კლასებად გულისხმობს პირველის მიერ მეორე ჯგუფის ჩაგვრას.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

21. ტექსტში წარმოდგენილი თეორიებიდან რომელს შეესაბამება შემდეგი ინფორმაცია?

ბაბილონის მეფე ჰამურაბის შექმნილ კანონებში (ძვ. წ. XVIII ს.) ნათქვამია, რომ „ადამიანი არის ღმერთის ჩრდილი, მონა – ადამიანის ჩრდილი, ხოლო მეფე ღმერთის სწორია“.

(ა) მხოლოდ თეოლოგიურსა და პატრიარქალურს.

(ბ) მხოლოდ თეოლოგიურს.

(გ) მხოლოდ ძალადობისა და ეკონომიკურს.

(დ) მხოლოდ პატრიარქალურს.

(ე) მხოლოდ სოციალური კონტრაქტის თეორიას.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

ტესტის დასასრული

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21